



სასერტიფიკატო და საუნივერსიტეტო კურსი - დეზინფორმაციისა და პროპაგანდის კვლევა: ისტორია, თეორიები და გაბათილების საშუალებები

კურსების დეტალური აღწერა/ ლექტორების კვალიფიკაცია

შემოდგომის სემესტრში, ხელმისაწვდომი იქნება შემდეგი სალექციო კურსები და სემინარები:

1. სტრატეგიული აზროვნება

ლექტორ(ებ)ი: დავით ნარდაია

დრო: ორშაბათი, 19:00

ფორმატი: ონლაინ, Zoom პლატფორმით

კურსის ენა: ქართული

საფეხური: ბაკალავრიატი (III-IV კურსი) და მაგისტრატურა

კურსის მიზნები და შედეგები: კურსის მიზანია, სტრატეგიულ მოაზროვნეთა ნამუშევრებზე დაყრდნობით, სტუდენტებს გააცნოს სტრატეგიის ეტიოლოგია და თანამედროვე სტრატეგიის საფუძვლები, სტრატეგიასა და პოლიტიკას (policy) შორის არსებული კავშირები. კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტებმა უნდა შესძლონ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული მაგალითების გაანალიზებისათვის გამოყენება.

კურსის თემატიკა: სტრატეგიის ეტიოლოგია; კლაუზევიცი და თანამედროვე სტრატეგიის საფუძვლები; სუნ ცზი და გრანდ-სტრატეგია; არაკონვენციური ომის სტრატეგია; არაკონვენციური ომის კონტ-სტრატეგია; ცივი ომის შემდგომი სტრატეგიული აზროვნება; პელოპონესის ომი; ამერიკის რევოლუცია; საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ომი; ლიბანის 2006 წლის ომი; სტრატეგიის პრობლემა.

ლექტორ(ებ)ის კვალიფიკაცია:

- **დავით ნარდაია**, 2020 წლიდან არის ნატო-ში საქართველოს წარმომადგენლის მოადგილე. მას გააჩნია 19 წლიანი გამოცდილება დიპლომატიასა და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში. 2002-2015 წლებში მუშაობდა თავდაცვის სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობებზე, მათ შორის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსად, თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსად და

საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსად. 2015-2018 წლებში იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო წარმომადგენელი ნატო-ში. 2018-2020 წლებში იყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი. 2020 წელს მიენიჭა საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი. დ. ნარდაიას გააჩნია თსუ-ს (სოხუმის ფილიალი) ბაკალავრის ხარისხი (2002 წ.) საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიაში, თსუ-ს მაგისტრის ხარისხი (2004 წ.) საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიაში და აშშ-ის თავდაცვის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი (2011) საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში.

2. უახლესი ისტორიის არქივები მედიისთვის

ლექტორ(ებ)ი: ანტონ ვაჭარაძე, მოწვეული ლექტორი ანა ოლიინიკი

დრო: ოთხშაბათი, 19:00

ფორმატი: ონლაინ, Zoom პლატფორმით

კურსის ენა: ქართული, ინგლისური

საფეხური: ბაკალავრიატი (III-IV კურსი) და მაგისტრატურა;

კურსის მიზნები და შედეგები: კურსის მსმენელებს, მომავალ ჟურნალისტებს ექნებათ საბაზისო ცოდნა, რათა შექმნან საკუთარი მედია პროექტები საარქივო მასალების საფუძველზე. კურსის მსმენელები მიიღებენ ინფორმაციას საარქივო დოკუმენტებთან მუშაობის გამოცდილების შესახებ, თუ როგორ უნდა გადავიდეს იგი მედია ფორმატში და როგორ დაარწმუნონ რედაქტორები, რომ გამოაქვეყნონ მასალა ისტორიულ თემაზე. განხილული იქნება სტატიები და პროექტები, რომლების უკვე გამოქვეყნდა ისეთ ქართულ და საერთაშორისო პორტალებზე როგორებიცაა - პუბლიკა, რადიო თავისუფლება, BBC, საერთაშორისო მემორიალი, არზამასი და ა.შ.

კურსის ბოლოს, თითოეული სტუდენტი მოამზადებს თემას ან მიკრო-კვლევას საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით.

კურსის თემატიკა: არქივების რაობა და საარქივო დოკუმენტების სახეობები; საქართველოში დაცული არქივები და კვლევების შესაძლებლობა; პრაქტიკული ვიზიტები საქართველოს შსს არქივსა და სხვა არქივებში.

ლექტორ(ებ)ის კვალიფიკაცია:

- **ანტონ ვაჭარაძე,** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი, IDFI-ს საარქივო, მეხსიერების კვლევისა და დეზინფორმაციის მიმართულების ხელმძღვანელი. 8 წლის მანძილზე საქართველოს ეროვნულ არქივში, მათ შორის 6 წლის მანძილზე საისტორიო არქივის დირექტორის პოზიციაზე. აქვს არქივებში კვლევის მრავალწლიანი გამოცდილება. 2018 წელს იყო კავკასიის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.
- **ანა ოლიინიკი,** უკრაინის განმათავისუფლებელი მოძრაობის შემსწავლელი ცენტრის დირექტორი. პროექტის - Deconstruction. Архивы КГБ для медиа ავტორი. IDFI-ს პროექტის - „არქივების ღიაობა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებსა და აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებში“ პარტნიორი.

3. დეზინფორმაციის იდენტიფიცირება და კვლევა

ლექტორ(ებ)ი: სოფო გელავა.

დრო: ხუთშაბათობით, 19:00

ფორმატი: ონლაინ, Zoom პლატფორმით

კურსის ენა: ქართული

საფეხური: ბაკალავრიატი (III-IV კურსი) და მაგისტრატურა

კურსის მიზნები და შედეგები: თანამედროვე სამყაროში ინფორმაცია ბრძოლის იარაღია. საინფორმაციო ომს ჰიბრიდული ომის თითოეულ ეტაპზე მნიშვნელოვანი როლი აკისრია. საზოგადოების აზრის მანიპულირების მიზნით ამ საინფორმაციო ომში დეზინფორმაციის გამოყენება უფრო და უფრო მზარდია. სტუდენტები მიიღებენ ცოდნას დეზინფორმაციის და საინფორმაციო ოპერაციების თანამედროვე სტრატეგიების, დეზინფორმაციის კვლევის მეთოდებისა და პრაქტიკული ინსტრუმენტების, ასევე დეზინფორმაციასთან ბრძოლაში საზოგადოების კოლექტიური მეხსიერების, მეხსიერების პოლიტიკისა და ისტორიული ნარატივების როლის შესახებ.

რების, მეხსიერების პოლიტიკისა და ისტორიული ნარატივების როლის შესახებ.

კურსის ბოლოს, თითოეული სტუდენტი მოამზადებს თემას ან მიკროკვლევას დეზინფორმაციის საკითხებზე.

კურსის თემატიკა: დეზინფორმაციის სახეები თანამედროვე მსოფლიოში; დეზინფორმაციის კვლევა; მეხსიერების პოლიტიკის როლი დეზინფორმაციის გავრცელებასა და მასთან ბრძოლაში.

ლექტორ(ებ)ის კვალიფიკაცია:

- **სოფო გელავა,** პოლიტიკის მეცნიერებათა მაგისტრი, ატლანტიკური საბჭოს ციფრული გამოძიებების კვლევის ლაბორატორიის მკვლევარი, Zinc Network-ის „საქართველოს ინფორმაციის სანდოობის პროგრამის“ ტექნიკური ინფორმაციისა და მონაცემების სპეციალისტი, აქვს დეზინფორმაციისა და საინფორმაციო ოპერაციების კვლევის მრავალწლიანი გამოცდილება. საქართველოს უნივერსიტეტში ასწავლის კურსს „ფაქტების გადამოწმებისა და ვერიფიკაციის ტექნიკები“. იყო მედიის განვითარების ფონდის პროექტ „მითების დეტექტორის“ მკვლევარი და მედია წიგნიერების პროგრამების ხელმძღვანელი.

4. სემინარი (Workshop): **რა არის დეზინფორმაცია და როგორ შემოიძლია დავუპირისპირდე მას?**

მოკლევადიანი, უნარების განვითარებაზე ორიენტირებული პრაქტიკული კურსი. კურსის ფარგლებში, მონაწილეები არა მხოლოდ გაეცნობიან ყოველდღიური დეზინფორმაციის გადამოწმების მექანიზმებს, არამედ ასევე მოისმენენ დეზინფორმაციის გავრცელების თანამედროვე ხერხებზე და იმსჯელებენ დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში ჟურნალისტური და მოქალაქეობრივი წვლილის შეტანის გზებზე. სემინარი ჩატარდება UG – ის მოკლე კურსების ფარგლებში/ფორმატში.

სამდღიანი სემინარი შედგება სამი/ოთხი ტრენინგისგან, თითოეული მოიცავს დეზინფორმაციის სხვადასხვა ასპექტს და მის დაძლევის გზებს. ძირითადი კითხვები, რომელზეც სემინარს გაეცემა პასუხი არის:

- რა არის სპეციფიკური დეზინფორმაციის შესახებ (პროპაგანდის, მისინფორმაციის, ყალბი ამბებისგან განსხვავებით)?
- როგორ მუშაობს დეზინფორმაცია ინტერნეტში და მის გართე?/ ვინ არის დეზინფორმაციაზე პასუხისმგებელი?
- How can a citizen, who is not specializing in fact-checking, still be a professional fact-checker? (Transitions Prague trainers) [როგორ შეიძლება მოქალაქე, რომელიც არ არის სპეციალიზებული ფაქტების შემოწმებაში, მაინც იყოს პროფესიონალი ფაქტების შემოწმებელი?]
- მე მინდა ვიცოდე მეტი: დეზინფორმაციის შესწავლის საფუძვლები და მისი გავლენა საზოგადოებაზე.

სემინარი ჩატარდება ჰიბრიდულ ფორმატში, საქართველოს უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორებისა და Transitions Online Prague–ს ტრენერების მიერ.

ლექტორები: ნინო გოზალიძვილი; რევაზ თოფურია; სოფო გელავა; იაროსლავ ვალუჰი.

კურსები, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება გაზაფხულის სემესტრში:

**1. კიბერუსაფრთხოება და დეზინფორმაცია თანამედროვე სამყაროში
ლექტორ(ებ)ი: გიორგი იაშვილი TBD.**

დრო: TBD

ფორმატი: დამოკიდებული იქნება პანდემიასა და რეგულაციებზე

კურსის ენა: ქართული

საფეხური: ბაკალავრიატი (III-IV კურსი) და მაგისტრატურა

კურსის მიზნები და შედეგები: კურსის ფარგლებში, ახალგაზრდები გაეცნობიან ჰიბრიდული ომის შესახებ თეორიებს, კიბერუსაფრთხოების საფუძვლებსა და კიბერსივრცეში დეზინფორმაციასთან ბრძოლის თანამედროვე მეთოდებს. ასევე, სტუდენტები განიხილავენ საეთაშორისო ურთიერთობებში კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობას, სახელმწიფოთა შორის კიბერთავდასხმების სხვადასხვა შემთხვევებს და უცხო ქვეყნის არჩევნებში ჩარევის არსებულ პრაქტიკებს. კურსი მიზნად ისახავს, რომ სტუდენტებმა ისწავლონ კიბერუსაფრთხოების იდენტიფიცირება, ინფორმაციის გადამოწმება ხელოვნური ინტელექტისა და ანალიზის მეშვეობით და კიბერთავდასხმებთან ბრძოლის თანამედროვე მეთოდები.

კურსის თემატიკა: კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობა საგარეო ურთიერთობებში; Fake news და დეზინფორმაციის გავლენა პოლიტიკაზე; ინფორმაციის გადამოწმების საშუალებები ხელოვნური ინტელექტისა და ანალიზის საშუალებით; ჰიბრიდული ომი. კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობა საგარეო ურთიერთობებში; Fake news და დეზინფორმაციის გავლენა პოლიტიკაზე; ინფორმაციის გადამოწმების საშუალებები ხელოვნური ინტელექტისა და ანალიზის საშუალებით;

ლექტორ(ებ)ის კვალიფიკაცია:

- **გიორგი იაშვილი TBD**, კიბერუსაფრთხოების მაგისტრი, ინფორმაციის უსაფრთხოების საკითხებში კონსულტანტი 14 წელზე მეტი გამოცდილებით. 2018 წლიდან დღემდე მუშაობს International Foundation for Electoral Systems-ის უკრაინის ოფისში საერთაშორისო კიბერუსაფრთხოების საკითხებში მრჩეველად. ასევე, 2019 წლიდან დღემდე მომსახურების სააგენტოში უკავია საერთაშორისო კიბერუსაფრთხოების საკითხებში კონსულტანტის პოზიცია. არის მოწვეული ლექტორი საქართველოს უნივერსიტეტსა და კავკასიის უნივერსიტეტში.

2. დეზინფორმაცია და საზოგადოება

ლექტორ(ებ)ი: ნინო გოზალიშვილი

დრო: TBD

ფორმატი: დამოკიდებული იქნება პანდემიასა და რეგულაციებზე

კურსის ენა: ქართული, ინგლისური

საფეხური: ბაკალავრიატი (III-IV კურსი) და მაგისტრატურა

კურსის მიზნები და შედეგები: დეზინფორმაციას თანამედროვე გლობალურ პოლიტიკაზე მზარდი და მრავალწახნაგოვანი გავლენა აქვს. ამ ფონზე მნიშვნელოვანია დეზინფორმაციისა და პროპაგანდის მოკლე და გრძელვადიანი გავლენების ანალიზი დემოკრატიულ რეჟიმებზე, ისევე როგორც დემოკრატიის, როგორც ძირითადი მმართველობის ფორმის, იდეის ტრანსფორმაციაზე. კურსის მონაწილეები შეძლებენ იმსჯელონ დეზინფორმაციის კავშირსა და ურთიერთ გადაკვეთაზე ისეთ თანამედვე პოლიტიკურ დისკურსებთან, როგორცაა ნაციონალიზმი და მემარჯვენე პოპულიზმი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა დეზინფორმაციის გავლენას დემოკრატიზაციის პროცესებზე, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს საშუალება ექნებათ გაეცნონ და იმსჯელონ პოსტ-სოციალისტური ქვეყნების მაგალითებზე.

კურსის თემატიკა: დეზინფორმაციისა და პროპაგანდის თეორიული მიმართება დემოკრატიულ იდეალებთან; დეზინფორმაციის ინსტრუმენტალიზაცია მემარჯვენე რადიკალური ძალების მიერ; დეზინფორმაციის როლი პოპულისტურ პოლიტიკასა და დისკურსში; დეზინფორმაციის ეფექტები დემოკრატიზაციის პროცესზე.

ლექტორ(ებ)ის კვალიფიკაცია:

- **ნინო გოზალიშვილი**, მეცნიერებათა სადოქტორო კანდიდატი ნაციონალიზმის კვლევებისა და შედარებითი ისტორიის ერთობლივ სადოქტორო პროგრამაზე ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში (CEU). 2019 წლიდან ნინო CEU-ს სასწავლო ასისტენტი, ხოლო ილიასა და საქართველოს უნივერსიტეტებში მოწვეული ლექტორია. უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლების კუთხით, ნინო ფლობს CEU-ს სწავლების ცენტრის მიერ გაცემულ სერთიფიკატს (CTL Program for Excellence in Teaching in Higher Education). ნინო მოკლე და გრძელვადიან კვლევით საქმიანობას ეწეოდა ისეთ ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით ორგანიზაციებთან, როგორცაა ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისა და დემოკრატიის ცენტრი ბუდაპეშტში, კონრად ადენაუერის ფონდი, „თავისუფლების სახლი“ (Freedom House), საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი. ნინოს [პუბლიკაციები](#) შეეხება საქართველოს საბჭოთა ისტორიას, მემარჯვენე პოპულიზმის, დემოკრატიზაციისა და დეზინფორმაციის საკითხებს, ისევე როგორც რბილი ძალის პოლიტიკას საქართველოსთან მიმართებაში.

ნინო გოზალიშვილი ფლობს ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს ნაციონალიზმის კვლევების მიმართულებით და ბაკალავრის ხარისხს საერთაშორისო ურთიერთობებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (თსუ). იგი ასევე იმყოფებოდა ვარშავის უნივერსიტეტში და ვიადრინას ევროპულ უნივერსიტეტში, ფრანკფურტში (ოლერი), როგორც მოწვეული სტუდენტი.

3. ერების კოლექტიური მენსიერება და მისი როლი საერთაშორისო ურთიერთობებში ლექტორ(ებ): მალვა ძებისაშვილი, მოწვეული ლექტორი - მიმა გაბოვიჩი TBD

დრო: TBD

ფორმატი: დამოკიდებული იქნება პანდემიასა და რეგულაციებზე

კურსის ენა: ინგლისური, ქართული

საფეხური: ბაკალავრიატი (III-IV კურსი) და მაგისტრატურა

კურსის მიზნები და შედეგები: საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტიკაში დიდი როლი უჭირავს ერების კოლექტიურ მენსიერებას. იმის გათვალისწინებით, ერთი მხრივ ევროპის უმეტესმა ქვეყნებმა ერთმანეთს აპატია წარსულის დანაშაულები და საერთო კულტურული და პოლიტიკური სივრცის შექმნას ცდილობს. ამავდროულად ვხედავთ, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთი ცდილობს საბჭოთა კავშირიდან გასული სახელმწიფოებისთვის მენსიერების საკუთარი ნარატივის მოხვევას თავს და პოლიტიკური პროცესების ამ კუთხით განსაზღვრას. შესაბამისად, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტებისთვის მენსიერების პოლიტიკის სწორი გააზრება ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი უნდა იყოს. კურსის გავლის შემდეგ მსმენელებს სიღრმისეული ცოდნა ექნებათ მენსიერების პოლიტიკისა და კვლევების, მენსიერების პოლიტიკის თანამედროვე ტენდენციების, ასევე ე.წ. „მენსიერების ომების“ შესახებ.

კურსის ბოლოს, თითოეული სტუდენტი მოამზადებს თემას ან მიკროკვლევას კოლექტიური მენსიერების საკითხებზე.

კურსის თემატიკა: როგორ იქმნება ერების კოლექტიური მენსიერება; კოლექტიური მენსიერების გამოხატულების საშუალებები (ძეგლები, მემორიალები, ძმათა სასაფლაოები, სიმბოლიკა და ა.შ.) და სიმბოლოების ბრძოლა საერთაშორისო ასპარეზზე; ისტორიული საზღვრები, ეთნიკური, რელიგიური და ლინგვისტური საკითხების მნიშვნელობა ერების თვითგამორკვევაში; ისტორიული მენსიერების გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტიკაზე.

ლექტორ(ებ)ის კვალიფიკაცია:

- **მალვა ძებისაშვილი,** პოლიტიკური მეცნიერების დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. არის საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრის (GSAC) თანადამფუძნებელი და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წევრი, როგორებიცაა უსაფრთხოებისა და თავდაცვის სამოქალაქო საბჭო (CCDS) და საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრი (GSAC). 2012 წლის სექტემბერში ის გახდა ევროკომისიის სადოქტორო პროგრამის (GEM) წევრი, წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მიიღო სადოქტორო ხარისხი ევროპული კვლევების ინსტიტუტში (IEE, ULB, ბრიუსელი) 2016 წლის იანვარში. 2003 წლიდან მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში თავდაცვის პოლიტიკასა და დაგეგმვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა თანამდებობებზე. 2008-09 წლებში მან

წარმატებით დაამთავრა სამაგისტრო კურსი სტრატეგიულ უსაფრთხოების კვლევებში NDU-ში (ვაშინგტონი) და შემდეგ დაიკავა თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო წარმომადგენლის პოსტი (თავდაცვის მრჩეველი) საქართველოს წარმომადგენლობაში ნატო-ს შტაბბინაში. არის რამდენიმე აკადემიური პუბლიკაციისა და მთელი რიგი ანალიტიკური სტატიების ავტორი.

- **მიშა გაბოვიჩი (Mischa Gabowitsch)**, მეხსიერების კვლევების სპეციალისტი, აინშტაინის ფორუმი, პოტსდამი, გერმანია. მისი კარიერა და კვლევის ინტერესები უკავშირდება ოქსფორდის, პარიზის, მოსკოვის, პრინსტონის, ბრემენის, ტიუმენის, მადრიდის და სხვა უნივერსიტეტების პროგრამებსა და ინსტიტუციებს მონაწილე, ყოფილა სხვადასხვა უნივერსიტეტების მოწვეული ლექტორი, მრავალი სამეცნიერო სტატიისა და კვლევის ავტორი.

პროგრამა დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.